



ფული და პოლიტიკა:

სისტემური, ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების
გავლენა პოლიტიკურ კონკურენციაზე



26-27 ივნისს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის ოფისის, ევროპის საბჭოს, International IDEA-ს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის ორგანიზებით მესამე ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია: „ფული და პოლიტიკა“ გაიმართა. ეს სტატია ამ კონფერენციაზე გამოსვლის ტექსტს ეფუძნება.

პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის პოზიციას.



© აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

ფული და პოლიტიკა: სისტემური, ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების გავლენა პოლიტიკურ კონკურენციაზე

*ძირითადი საკითხები: პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური
დაფინანსება, ფული და პოლიტიკა.*

ფული, როგორც პოლიტიკის პრობლემა

დავიწყით იმ პრობლემების მოკლე და არასრული ჩამონათვალით, რაც თან ახლავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პოლიტიკური ფული ვიწრო წრეებში ან ცალკეულ ადამიანებში ასიმეტრიულად არის კონცენტრირებული, ანუ ცოტას აქვს ბევრი ფული, რომელსაც პოლიტიკური მიზნებით ხარჯავს:

პოლიტიკური დაფინანსების დიდი ასიმეტრია ახშობს პოლიტიკურ კონკურენციას. როდესაც ერთ პოლიტიკურ პარტიას აქვს ბევრად მეტი ფინანსური რესურსი, ვიდრე სხვა კონკურენტებს, მას უფრო ადვილად შეუძლია ამომრჩევლამდე საკუთარი სათქმელის მიტანა და იმ მომსახურებების შესყიდვა, რომელიც მნიშვნელოვანია არჩევნებზე გამარჯვებისთვის (რეკლამა, თანამშრომლები და სხვა);

პარტიული ფულის კონცენტრაცია ერთ ადამიანში ან მცირე ჯგუფში ნიშნავს შიდაპარტიული დემოკრატიის არ არსებობას. შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობისთვის საკმარისი არ

¹ ლევან ცუცქირიძე არის აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი. მისი კვლევითი და პროფესიული ინტერესებია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და დემოკრატიული განვითარების საკითხები.

არის მხოლოდ კეთილი პოლიტიკური ნება. იმისათვის, რომ შიდა დემოკრატია რეალურად არსებობდეს, მნიშვნელოვანია პოლიტიკური წონასწორობა პარტიაში. იქ, სადაც ერთი ან რამდენიმე ადამიანი ფლობს პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს - ფულს, რთულია საუბარი რაიმე სახის რეალურ დემოკრატიაზე შიდა გადაწყვეტილებების მიღებისას.

პოლიტიკური ფულის დიდი რაოდენობით კონცენტრაცია ართულებს პოლიტიკური ცვლილებების მიღწევას არჩევნების გზით და ქმნის ნოყიერ ნიადაგს ექსტრა საკონსტიტუციო რყევებისთვის. როგორც წესი, პოლიტიკური ფულის მაღალ კონცენტრაციას რომელიმე ჯგუფში თან ახლავს სხვა ნეგატიური შედეგები და ისეთი გავლენები, რომლებიც ზღუდავს პოლიტიკურ კონკურენციას. ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს მედიის ტოტალურ კონტროლში, არასამთავრობოების შევიწროებაში, საარჩევნო ინსტიტუტების, სასამართლოებისა და ძალაუფლების პოლიტიკურ კონტროლში და სხვა. ასეთ ვითარებაში საზოგადოებას მართებულად უჩნდება იმის განცდა, რომ შეუძლებელია საარჩევნო გზით პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა და რომ ერთად ერთი გზა არა-კონსტიტუციური ცვლილებაა, იქნება ეს მშვიდობიანი თუ ძალადობრივი რევოლუცია.

მცირე პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის შეუძლებელი ხდება პოლიტიკური საქმიანობა: იქ, სადაც ფულის მაღალი კონცენტრაციის გამო შეუძლებელია პოლიტიკური კონკურენცია, განსაკუთრებით უჭირთ მცირე პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს. შესაბამისად, ამომრჩეველთა თუნდაც ის მცირე ნაწილი, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ პოლიტიკური წარმომადგენლობის გარეშე რჩება.

რთულდება ახალი მოთამაშეების შემოსვლა პოლიტიკაში: დომინანტური პოლიტიკური პარტიის ვითარებაში, როდესაც პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლება ერთი ჯგუფის ხელშია უკიდურესად რთულია ახალი სახეების გაჩენა პოლიტიკაში, ვინაიდან მათთვის პოლიტიკაში შემოსვლის ბარიერი ზედმეტად მაღალია.

და ბოლოს: ფულის პოლიტიკაზე ბატონობა ძირს უთხრის ლიბერალურ დემოკრატიას. თუკი პარტიას ერთი ან ადამიანთა მცირე ჯგუფი სრულად აკონტროლებს, ის აკონტროლებს პარლამენტსა და მთავრობასაც; ეს უკიდურესად ასუსტებს დემოკრატიათვის ასე საჭირო წარმომადგენლობით ორგანოებს და ჯამში, დემოკრატით იმედგაცრუებას იწვევს -

მოქალაქეები ხვდებიან, რომ რეალური გადაწყვეტილებები მიიღება არა პარლამენტში, არამედ სადღაც სხვაგან. შესაბამისად, ძლიერდება არაფორმალური მართვის და ჩრდილოვანი გარიგებების კულტურა ისევე როგორც, უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი. საზოგადოება მართებულად ხედავს არსებულ ვითარებას, როგორც ფარსს. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ეს პრობლემა კიდევ უფრო დიდ რისკებს ქმნის, რადგანაც ასეთ ქვეყნებს არ გააჩნიათ ძლიერი დემოკრატიული ტრადიცია და ინსტიტუტები, ხოლო მათი წონასწორობისა და კონტროლის სისტემები უკიდურესად სუსტია. ამიტომაც ასეთ სახელმწიფოებს მეტად ემუქრებათ მმართველობითი და პოლიტიკური რყევები, ვიდრე ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს.

პრობლემების ეს ჩამონათვალი ახალი აღმოჩენა არაა და არასრულია. უფრო მნიშვნელოვანია იმაზე საუბარი, თუ რა უნდა გაკეთდეს ასეთი რისკების შესამცირებლად.

სანამ ამ საკითხზე გადავალ, ისიც უნდა ითქვას, რომ ფული უკიდურესად საჭიროა პოლიტიკაში, მათ შორის ისეთი ფული, რომელიც გადასახადების გადამხდელების ჯიბიდან ფინანსდება და ისეთიც, რომელიც კერძო ინიციატივით, ნებაყოფლობითი შემოწირულობის სახით ემლევათ პარტიებს. ფული საჭიროა იმისათვის, რომ არა მხოლოდ დიდმა და მდიდარმა, არამედ შედარებით მცირე პარტიებმაც შეძლონ მუშაობა. ამ მხრივ ფული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის აუცილებელია. საუბარი, რა თქმა უნდა, იმ მდგომარეობაზე მაქვს, როდესაც ფულის უაღრესად დიდი ოდენობის კონცენტრაცია ერთი პარტიის ან პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფის გარშემო ხდება.

ამ დათქმით გავაგრძელოთ იმის განხილვა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ასეთი არასასურველი მდგომარეობა არ მივიღოთ ქვეყანაში. ამისათვის საჭირო მიდგომებს სამად დავაჯგუფებ: სისტემური, ინსტიტუციური და კულტურული. ეს იმიტომ, რომ როდესაც ვსაუბრობთ ფულის პოლიტიკაზე არასასურველ გავლენაზე, რთულია მისი განცალკევებულად განხილვა. ასეთ დროს ჩვენ რეალურად ვსაუბრობთ დემოკრატიული სისტემის გაჯანსაღებაზე, სადაც გარკვეული საკითხები პირდაპირ უკავშირდება ფულის რეგულირების თემას, ხოლო ზოგიერთი კი - ირიბად.

რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ კანონმდებლობისა თუ მმართველობის მხრივ იმისათვის, რათა უზრუნველყოს თანასწორი და სამართლიანი პოლიტიკური და საარჩევნო სისტემის არსებობა? აქ მას შეუძლია იმოქმედოს ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი, და ჩემი აზრით ყველაზე ეფექტური გზა არის იმ მიზეზების აღმოფხვრა, რაც ქმნის მაღალ მოთხოვნას პოლიტიკურ ფულზე. მეორე, ეს არის გონივრული და ეფექტური სარეგულაციო სისტემის უზრუნველყოფა იმისთვის, რომ თამაშის წესები ნათელი და სამართლიანი გახდეს.

პოლიტიკურ ფულზე მზარდ მოთხოვნას, უპირველეს ყოვლისა, მაღალი წინასაარჩევნო დანახარჯები წარმოშობს. საქართველოს 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე პოლიტიკურმა პარტიებმა ოფიციალურად 27 მილიონი ლარი დახარჯეს. შედარებისთვის ამ თანხით საქართველოს შეეძლო 4 წლის განმავლობაში 150-მდე სტუდენტისთვის (ანუ საქართველოს ერთი მოწვევის პარლამენტართა სრული რაოდენობისთვის) ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლის სრული კურსი დაეფინანსებინა. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში რეალური წინასაარჩევნო დანახარჯები ოფიციალურ რიცხვებს ბევრად აღემატება, დავინახავთ, რომ საარჩევნო დანახარჯები საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის მიუღებლად მაღალია. თანაც, როგორც კვლევები აჩვენებს, ისინი საზოგადოებრივად უსარგებლო ხარჯებია და არც არჩევნებზე ახდენს გადამწყვეტ გავლენას, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებ.

პარტიების ოფიციალური საარჩევნო ხარჯების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა სახის, ძირითადად ქუჩის და ტელე რეკლამაზე მოდის. ეს ნიშნავს, რომ ნაცვლად იმისა, პოლიტიკური პარტიები რესურსებს (მათ შორის გადასახადების გადამხდელთა რესურსებს) ხარჯავდნენ პოლიტიკის შექმნასა თუ ანალიზზე, ამომრჩეველთან უშუალო ურთიერთობაზე, ახალი პარტიული კადრების მოძიებასა და მომზადებაზე, ქალი პოლიტიკოსების ხელშეწყობასა თუ სხვა მნიშვნელოვან საქმეებზე, რაც ნამდვილად საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა იქნებოდა, მთელი პარტიული ფინანსური რესურსი მარკეტინგულ დანახარჯებს ხმარდება.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანი რეფორმა საარჩევნო ხარჯების შემცირებისკენ იქნებოდა მიმართული და პარალელურად შეამცირებდა მოთხოვნასაც პოლიტიკურ ფულზე. ამ სტატიაში არ ვაპირებ ასეთი რეფორმის ყველა დეტალის განხილვას, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი გზა იქნებოდა წინასაარჩევნო დანახარჯებზე ბევრად უფრო დაბალი ჭერის დაწესება, ვიდრე ახლა გვაქვს; სატელევიზიო რეკლამის გადანაწილების განსხვავებული მოდელის შექმნა და უფრო უკეთ და დეტალურად განსაზღვრა იმისა, თუ რაში შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს იმ ფულის დახარჯვა, რომელსაც ისინი ბიუჯეტიდან იღებენ.

პოლიტიკური ფინანსების რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემის თვალსაზრისით კი არსებობს მთელი რიგი პოლიტიკებისა, რომელთა განხორციელებაც უკეთესობისკენ შეცვლიდა პოლიტიკურ გარემოს. მათ შორის:

- **გონივრული სანქციების შექმნა ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით და მათი ეფექტური განხორციელება.** აუცილებელია, რომ არსებობდეს დარღვევებზე რეაგირების ისეთი კანონმდებლობა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ეფექტურად აიძულებს კანონის დაცვას. ხშირ შემთხვევებში სანქციები არაპროპორციულია: ისინი ან ზედმეტად მკაცრია და ოპოზიციის მარგინალიზაციას ისახავს მიზნად ან ზედმეტად სუსტი, რაც პარტიების მხრიდან კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფას იწვევს.
- **სანქციების თანაბარი და სამართლიანი განხორციელება:** ძალიან ხშირად რეგულატორები სანქციებს სუსტ პოლიტიკურ პარტიებს უწესებენ, ხოლო დიდი, გავლენიანი ორგანიზაციების დარღვევები უმეტესად შეუსწავლელი ან რეაგირების გარეშე რჩება.
- **ფინანსური აუდიტისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესაბამისი რესურსებით აღჭურვა.** ხშირად მთავრობები ასეთ უწყებებს სპეციალურად ტოვებენ შესაბამისი რესურსების გარეშე, რათა მათ საკუთარი ამოცანების ჯეროვნად შესრულება ვერ შეძლონ. უკრაინის ანტი-კორუფციულ სტრუქტურას, რომელიც პარტიების ფინანსურ მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, მხოლოდ 12 თანამშრომელი ჰყავდა და მათი საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებიც კი არ ჰქონდა.²

² ოლეკსი სიდორჩუკი, 2017. „ბრძოლა გოლიათთან: პოლიტიკური დაფინანსების რეფორმა უკრაინაში.“ ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის; დემოკრატიული ინიციატივების ფონდი.

საბოლოოდ, მათი შესყიდვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გახდა შესაძლებელი, ვინაიდან ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო ამის გაკეთებას განგებ აჭიანურებდა.

- **ფინანსური აუდიტისა და პარტიების ფინანსების შესახებ ინფორმაციის დროული და მომხმარებლისათვის მოსახერხებელი ფორმით მიწოდება.** აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს გაუადვილდეთ არსებული ინფორმაციის წაკითხვა. ძალზე ხშირად მთავრობები ასეთ ინფორმაციას შეგნებულად იმ ფორმით აქვეყნებენ, რომ, ერთი მხრივ, მათი უცხოელი პარტნიორებისა და დონორების მოთხოვნები მსგავსი ინფორმაციის არსებობაზე დააკმაყოფილონ, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ინფორმაცია პრაქტიკულად გამოუსადეგარი გახადონ.
- **არ უნდა არსებობდეს ისეთი მაღალი ბარიერები, რომლებიც ახალი მოთამაშეების პოლიტიკაში შემოსვლას შეუძლებელს გახდიდა.** ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეზღუდვა ახალი დემოკრატიის მრავალ ქვეყნაში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, ის არის, რომ აკრძალულია არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კანდიდატებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. მართალია, აღნიშნულ აკრძალვას შესაბამისი ისტორიული და გარე პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხელს უშლის სხვადასხვა ორგანიზაციებს, მაგალითად ქალთა მოძრაობებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს თუ სხვებს, პოლიტიკურად უფრო გავლენიანნი გახდნენ ამა თუ იმ კანდიდატისადმი ფინანსური მხარდაჭერის გაწევით.

ინოვაცია ნდობისთვის: ინსტიტუტების შესახებ

როდესაც პოლიტიკური ფულის რეგულაციაზე ვსაუბრობთ, ხშირად მხედველობიდან გვრჩება ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორია, როგორც თვითრეგულაციაა. ეს მჭიდროდ უკავშირდება შიდაპარტიული დემოკრატიის კულტურას და ზოგადად პოლიტიკური ქცევის ნორმატიულ სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა რიგ შემთხვევებში საერთოდ არ იყოს დაწერილი კანონის ან რეგულაციის დონეზე. შეუძლებელი და პოლიტიკურად უსარგებლოა მცდელობა, რომ სახელმწიფომ იტვირთოს ყველაფრის რეგულირების ტვირთი. ამ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს კაპიტალის გაზრდილი საერთაშორისო მობილობა, კრიპტოვალუტების გავრცელება და ინტერნეტისა თუ ანონიმური ტრანზაქციების მზარდი შესაძლებლობები.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ წახალისდეს თვითრეგულაციის ინიციატივები, რაც გულისხმობს პარტიების მიერ დამატებითი ვალდებულებების ნებაყოფლობით აღებას ფინანსური გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ეს საკითხი არც ისე უტოპიურად გამოჩნდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბევრი ფულის ქონა შესაძლებლობასთან ერთად პრობლემაცაა - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოება ეჭვითა და უნდობლობით უყურებს პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიებს.

ბოლო პერიოდის ევროპული პარტიები უფრო და უფრო მეტად ამბობენ **უარს დიდი ოდენობის შემოწირულობებზე, თუნდაც ეს კანონით დაშვებული იყოს**. ამით ისინი ცდილობენ თავიდან აირიდონ საფრთხე, რომ ისინი „ჯიბის პარტიებად“ ან „ჯიბის პოლიტიკოსებად“ წარმოჩინდნენ. ამიტომაც, მრავალი პარტია საკუთარი ინიციატივით იწესებს ზედა ლიმიტებს ფინანსურ შემოწირულობებზე და ასეც (ხშირად წარმატებით) ცდილობს ამომრჩევლის დარწმუნებას იმაში, რომ იგი პარლამენტში მისი და არა რომელიმე სამშენებლო თუ ტკბილეულის კომპანიის წარმომადგენელი იქნება.

ფინანსური გამჭვირვალობის მაღალი შიდა სტანდარტების დაწესება ასევე მზარდი ტენდენციაა. მრავალი პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამას კანონი არ ავალდებულებს, თავად აქვეყნებს ყოველი, თუნდაც უკიდურესად მცირე ხარჯის (მაგალითად, საქმიანი შეხვედრისას გადახდილი ჭიქა ყავის ღირებულების ქვითარი) დოკუმენტებს საკუთარ ვებ-

გვერდზე, სადაც დანახარჯებისა და შემოსავლების შედარება ნებისმიერს შეუძლია. პარლამენტების, პოლიტიკოსების და პარტიების მიმართ მზარდი უნდობლობის ფონზე ასეთი ინიციატივები საინტერესო და წარმატებულია.

პარტიული ფინანსების მოძიების ცოდნის შემოტანა ის მნიშვნელოვანი წვლილია, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიტანონ პარტიების განვითარების საქმეში. როგორც წესი, შეცდომით მიიჩნევა, რომ შეუძლებელია წვრილი ფულის შეგროვება და რომ, რაც არ უნდა მოხდეს, დიდ ფულს მეტოქეობას ვერაფერი გაუწევს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება, ის არის, რომ ასეთი კამპანიები პარტიების ხალხთან ურთიერთობას აუმჯობესებს, ამდიდრებს მათ ცოდნას და კადრებს და ზრდის მათ მიმართ ნდობას. ეს კი ხშირად უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, ვიდრე პირდაპირი ფულადი დონაციები დიდი კომპანიებიდან. საბოლოო ჯამში, ხმას კომპანიები კი არა, მოქალაქეები აძლევენ საარჩევნო უბანზე.

ფინანსური ავტონომიების მინიჭება პარტიული სტრუქტურებისთვის დამატებითი შესაძლებლობაა პოლიტიკური ფულის დეკონცენტრაციისთვის. პარტიული დაფინანსების წინასწარ განსაზღვრული პროცენტული ოდენობის გადაცემა ქალთა, ახალგაზრდულ თუ რეგიონულ ორგანიზაციებზე გარდა ფინანსური მონოპოლიის შესუსტებისა, ხელს უწყობს პარტიების ორგანიზაციულ გამლიერებას და ახალი ლიდერების წარმოჩენას.

შიდაპარტიული მერიტოკრატის არარსებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა. პოლიტიკურ პარტიებს რთულად გამოსდით კადრების მოძიება და მომზადება რადგან, ისინი კადრებს უკვე წარმატებულ ადამიანებში ეძებენ და არა საკუთარ წევრებში. პოლიტიკური კარიერის გზა - საქართველო იქნება ეს, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი თუ სხვა ახალი დემოკრატია ევროკავშირის აღმოსავლეთით - გადის არა წარმატებულ პარტიულ, არამედ წარმატებულ ბიზნეს ან არასამთავრობო კარიერაზე. ეს დამატებით კიდევ სხვა პრობლემებსაც უქმნის პოლიტიკურ პარტიებს, კერძოდ კი პოლიტიკური გამოუცდელობის პრობლემას. შიდაპარტიული დემოკრატის კულტურის დეფიციტი გავლენას ახდენს ფინანსურ გამჭვირვალობაზეც: როდესაც გაურკვეველია თამაშის წესები, მაშინ წესებს ადგენს ის, ვისაც მეტი ფული აქვს.

რამდენიმე სიტყვა ღირებულებების, პოლიტიკური კულტურისა და ფულის შესახებ არსებული წარმოდგენების შესახებ.

„შავი ფულის“ არსებობა პოლიტიკაში გაცხადებული საიდუმლოა - ყველამ იცის, მაგრამ ცოტა თუ ლაპარაკობს. თუმცა „შავი ფული“ უპირველესად კულტურული ფაქტორი უფროა, ვიდრე პრაგმატული წინასაარჩევნო. პარადოქსია, „შავი ფული“ პოლიტიკაში მაშინ ჩნდება, როდესაც პოლიტიკა უფრო კონკურენტული ხდება, რადგანაც დიქტატურის პირობებში მმართველებს არაფერში სჭირდებათ მოქალაქეთა ხმების ასეთი გზით მოპოვება. რა გავლენა აქვს რეალურად მოქალაქეთა მოქრთამვას ხმებზე? როგორც მრავალი კვლევა აჩვენებს ქრთამს არსებითი გავლენა არ აქვს, ვინაიდან მოქალაქეებმა კარგად იციან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ვინმემ დაადგინოს, თუ კონკრეტულად ამა თუ იმ მოქალაქემ ვის მისცა ხმა. ამიტომაც ისინი წარმატებით იღებენ ფულს სხვადასხვა პოლიტიკოსებისაგან, ხოლო ხმას იმას აძლევენ, ვისაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ. ბოლო რამდენიმე მასშტაბურმა კვლევამ ინდოეთში ³ სწორედ ასეთი შედეგი აჩვენა. ირონიული ფაქტია, რომ ერთ-ერთ რეგიონში კანდიდატმა, რომელმაც ყველაზე მეტი ქრთამები გასცა, მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე ადგილი აიღო არჩევნებზე. ამრიგად, ქრთამების - იქნება ეს ფული, შეღავათი, ნადიმი თუ ალკოჰოლი - გავლენა არც იმდენად დიდი ჩანს, როგორც ხშირად გვგონია და იგი პოლიტიკური კულტურის ნაწილი უფროა, ვიდრე ეფექტური წინასაარჩევნო ინსტრუმენტი.

პოლარიზაცია და ნულოვანი თამაშის კულტურა ზრდის ფულის პოლიტიკაზე გავლენას. ქვეყნები, სადაც პოლიტიკა ნულოვანი თამაშია, მეტად ექცევიან პოლიტიკური ფულის გავლენის ქვეშ, ვიდრე ქვეყნები, სადაც პოლიტიკა კომპრომისის, კონსენსუსის, თანამშრომლობის სივრცე უფროა. თუკი პოლიტიკური მარცხი აბსოლუტურ პოლიტიკურ განადგურებას (და ხშირად ეკონომიკურს და ფიზიკურსაც) ნიშნავს, მაშინ პარტიები ყველა შესაძლებლობას იყენებენ იმისათვის, რათა ასეთი შედეგი თავიდან აიცილონ. იქ, სადაც ფიზიკური თუ პოლიტიკური გადარჩენა დღის წესრიგში არ დგას, ფულის გავლენაც

³ საიმონ შოშა, 2018. „საარჩევნო ქრთამები მუმბაის არჩევნებზე.“ *Asian Survey*, ტომი. 58, ნომერი 2, გვ. 341–364

ნაკლებია. შესაბამისად, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება, რითაც ასე ხასიათდება ჩვენი რეგიონის ქვეყნები, მნიშვნელოვანი ამოცანაა და ამ მიმართულებით სავალი გზა სამოქალაქო განათლებაზე და პოლიტიკური თუ საარჩევნო, მათ შორის პოლიტიკური დაფინანსების სისტემის, მეტად წარმომადგენლობით და სამართლიან სისტემად ჩამოყალიბებაზე გადის.

ფულისა და პოლიტიკის ურთიერთობა ხშირად „ტუსაღის დილემის“ მდგომარეობაა. „ტუსაღის დილემა“ ისეთი სიტუაციაა, როდესაც კომუნიკაციის არ არსებობის ან მაღალი უნდობლობის პირობებში ყველა მოთამაშე მაქსიმალურ შედეგზე გასვლას ცდილობს, მაგრამ ამას მაქსიმალური რისკების (ან ხარჯების) გაწევის პირობებში აკეთებს. ეს მაშინ, როდესაც თანამშრომლობის ან მოლაპარაკების შედეგად ყველა მხარე შედარებით მოგებულ დარჩებოდა. წინასაარჩევნო ვითარებაში ეს დილემა შემდეგნაირად გამოიხატება: თუკი პარტია X თვლის, რომ პარტია Y ქრთამების დარიგებას დაიწყებს, ისიც ცდილობს იგივე გააკეთოს. შედეგად, ორივე პარტია ბევრ შავ ფულს ხარჯავს. მაგრამ ეს აუცილებელი არაა ასე ხდებოდეს: სცენარში, სადაც პარტიებს ერთმანეთთან შესაბამისი კომუნიკაცია და ნდობა გააჩნიათ, ყველა მოთამაშე ამ ხარჯებს თავიდან ირიდებს. ასეთი დილემიდან კლასიკური გამოსავალი კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ნდობის გაუმჯობესებაა. პარტიათა შორის ამის მიღწევა ინტერ-პარტიული დიალოგის ფორმატებითა და ნდობის კულტურის განვითარებით ხდება.

ის, რომ ფული არჩევნებზე გადამწყვეტ როლს ხშირად არ ასრულებს, სხვა კვლევებითაც დასტურდება. ერთ-ერთი ადრეული კვლევა ამ თემაზე სტივენ ლევიტმა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჩაატარა⁴. მისი მიზანი იყო ისეთი კანდიდატების არჩევნები შეედარებინა, რომლებიც სხვადასხვა დროს რეგულარულად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ გამორიცხულიყო ის ეფექტები, რომლებიც განსაკუთრებით კარგი კანდიდატის პოლიტიკაში შემოსვლას, პოლიტიკურ სკანდალს ან ეკონომიკურ შოკს, საარჩევნო საზღვრების ცვლილებას, კანდიდატის სიახლის ეფექტს და სხვა მოვლენებს მოაქვთ ხოლმე. კანდიდატების ხარისხისა

⁴ სტივენ ლევიტი, 1994. „განმეორებითი მეტოქეების შეფასება ამერიკის წარმომადგენელთა პალატის არჩევნების კამპანიის დანახარჯების ზემოქმედების დასადგენად.“ *Journal of Political Economy*, ტომი 102, ნომერი. 4. *University of Chicago*.

და შოკების ეფექტის გამორიცხვით, ლევიტს შესაძლებლობა მიეცა იზოლირებულად დაკვირვებოდა ფულის ეფექტს: თუ რამდენად დიდი შედეგი ჰქონდა კამპანიის დანახარჯებს საარჩევნო ხმების თვალსაზრისით. ამ მიზნით მან 633 არჩევნები გააანალიზა. მისი მთავარი და მოულოდნელი მიგნება ისაა, რომ ყოველ 100,000 დოლარს მხოლოდ 0,33 პროცენტი ხმა მოჰქონდა და რომ სინამდვილეში ბევრი ფულის ხარჯვა არჩევნებზე საზოგადოებრივად უსარგებლო საქმეა, რაც ხშირად პოლიტიკოსებს უფრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და პოლიტიკური საქმისგან აცდენს.

შორს რომ არ წავიდეთ, თბილისის მერის არჩევნებზე ალექსანდრე ელისაშვილმა მიზერული წინასაარჩევნო დანახარჯებით მეორე ადგილზე გასვლა შეძლო და მასზე მეტად ძლიერი ფინანსური შესაძლებლობების მქონე პარტიების კანდიდატებს აჯობა. სულ რამდენიმე დღის წინ დემოკრატების ერთ-ერთ პოლიტიკურ ვეტერანს და წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეობის პოტენციურ კანდიდატს ჯო ქროულის, რომელმაც კამპანიისთვის 35 მილიონი დოლარი (!) დახარჯა, 28 წლის ალექსანდრია ოკასიო-კორტეზმა მოუგო პრაიმერი. ამ უკანასკნელმა საკუთარ კამპანიაზე ათჯერ ნაკლები, სულ რაღაც 300,000 დოლარი დახარჯა. ეს მაგალითი კიდევ ერთი ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ კანდიდატისა და კამპანიის ხარისხის, პოლიტიკოსის თვისებების და მისი სათქმელის გავლენა უფრო დიდია, ვიდრე ფულის მსყიდველობითი უნარისა.

„დიდ ფულთან“ დაპირისპირება კომფორტული არგუმენტიც არის პოლიტიკური წარუმატებლობის გასამართლებლად. ეს პარტიებსა თუ კანდიდატებს საკუთარი კამპანიის ხარვეზების, პირადი სისუსტეებისა და პოლიტიკური შეცდომების სხვა, გარეშე ფაქტორებზე კომფორტულად გადაბრალების შესაძლებლობას აძლევს და იმ უხერხული პროცესისგან ათავისუფლებს, რაც საკუთარი ორგანიზაციის მიმართ რთული კითხვების დასმას მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, ფულის გავლენა პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი და რეალური პრობლემაა, რომელსაც მათ შორის იმ მიდგომებითაც უნდა ვებრძოლოთ, რაც ნაწილობრივ ზემოთ აღწერე. მაგრამ ეს გავლენა ხშირად უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენ გვგონია. ფულის უძლევლობის მითი თვითრეალიზებადი ილუზიაა: თუკი ყველას სჯერა, რომ ფული ჯოჯოხეთს ანათებს, მაშინ ფული მართლა ანათებს ჯოჯოხეთს და პოლიტიკასაც ჯოჯოხეთად აქცევს.

სწორედ ამიტომ, როდესაც ჩვენ ფულის პოლიტიკაზე გადაჭარბებული გავლენის შემცირების მიდგომებზე ვმსჯელობთ, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების დახვეწასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს ინსტიტუციური, შიდაპარტიული და ფასეულობითი - პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები. თუკი პოლიტიკური ფინანსების პრობლემას ასე, მრავალმხრივად დავინახავთ, მაშინ უფრო მეტი გზაც გამოჩნდება იმისათვის, რომ პოლიტიკისადმი ნდობა კვლავ აღვადგინოთ.